



# ავანბეკი

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-2) სენაკი-ფოთი-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ97 (96+052) -ზე მდ. ყოროლის წყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური პროექტი

## ტომი 1

განმარტებითი ბარათი და გრაფიკული ნაწილი

თბილისი 2019 წ



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის  
სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (რგის)  
ა. ყაზბეგის გამზ. 12, 0160, თბილისი, საქართველო




შპს „ავანბეკი“  
ნიაზის I შესახვევი #2, თბილისი, საქართველო



საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-2) სენაკი-ფოთი-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ97 (96+052) -ზე მდ. ყოროლის წყალზე  
არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების

დეტალური პროექტი



თბილისი 2019

## სარჩევი

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-2) სენაკი-ფოთი-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ97 (96+052) -ზე მდ. ყოროლის წყალზე

არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების

დეტალური პროექტი

1. საპროექტო დავალება
2. განმარტებითი ბარათი
3. გრაფიკული ნაწილი
4. სამუშაოთა მოცულობები
5. დანართი

## 1. საპროექტო დავალება



### გ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური დოკუმენტის მონაცემები



ლ. კუპატაშვილი

2. 08, 2019 წ.

### ს ა პ რ ო ე კ ტ ო დ ა გ ა ლ ე ბ ა

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-2) სენაკი-ფოთი-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ97(96+052)-ზე მდ. ყოროლისწყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შესადგენად.

- 1. საპროექტო ორგანიზაციის დასახელება - შ.პ.ს. "ავანბეკი"
- 2. საფუძველი პროექტირებისათვის. - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და შ.პ.ს. "ავანბეკი"-ს შორის 2019 წლის 4 ივლისის გაფორმებული ე.ტ. №128-19 ხელშეკრულება. აფხაზეთისა და აღარის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული პროექტების მართვის სამსახურის 2019 წლის 11 ივლისის №7979-2 მოხსენებითი ბარათი.
- 3. ლოტების გამოყოფის საჭიროება. - არ საჭიროებს.
- 4. საკვლევაძიებო სამუშაოების საჭიროება. - საჭიროებს.
- 5. ობიექტის ტექნიკური მანველებლები:
  - 5.1 ხიდის საანგარიშო დატვირთვები. - HK-80; A-11
  - 5.2 ხიდის გაბარიტი - არსებული პარამეტრების მიხედვით.
  - 5.3 მიწის ვაკისის სიგანე - განისაზღვროს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტისა და სტანდარტების შესაბამისად.
  - 5.4 სავალი ნაწილის სიგანე - განისაზღვროს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტისა და სტანდარტების შესაბამისად.
  - 5.5 მოძრაობის უსაფრთხოების პირობები - საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების მიხედვით.
- 6. სამუშაოების სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრა. - განისაზღვროს ხარჯთაღრიცხვებით ღირებულებაში დ.დ.გ-ს ჩათვლით, საბაზრო ფასების გათვალისწინებით.

- 7. პროექტირებისათვის საჭირო ამომავალი მონაცემები. - საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციაში ცალკე პუნქტად აისახოს უკანდასაბრუნებელი და მეორადი დანიშნულებისათვის ვარგისი მასალები და ჯართის შემცველი კონსტრუქციები მათი დასახელების, მოცულობისა და ღირებულების ჩვენებით.
- 8. პროექტირების განსაკუთრებული პირობები:
  - 8.1 სამუშაოების შემადგენლობა და სახეობები. - საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები წინასწარ შეთანხმდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.
  - 8.2. სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება მოძრაობის შეწყვეტლად ან შეწყვეტით. - მოძრაობა შეწყვეტილია.
  - 8.3 სარეაბილიტაციო სამუშაოების მიწის გამოყოფის (შეძენის) საჭიროება. - საჭიროების შემთხვევაში დამუშავდეს განსახლების სამოქმედო გეგმის ანგარიში, მათ შორის, განსახლების გეგმასთან ერთად პროექტის განხორციელების პროცესში თითოეული იდენტიფიცირებული ნაკვეთისთვის უნდა მომზადდეს პირველადი რეგისტრაციის და გამიჯვნის აზომებითი საკადასტრო ნახაზები.
  - 8.4 დავალების შესაძლო კორექტირება - ობიექტის შესწავლის შემდეგ საპროექტო ორგანიზაცია უფლებამოსილია წარმოადგინოს წინადადებები დავალებაში კორექტირების შესახებ.
  - 8.5 გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის დამუშავების საჭიროება. - გარემოს დაცვის მართვის გეგმის წარმოდგენას საჭიროებს. ხემცენარეებით დაფარული ტერიტორიების იდენტიფიცირება და მოჭრის ნებართვის ან ტყის ფონდიდან ამორიცხვისათვის საჭირო შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა. საჭიროების შემთხვევაში: სკრინინგის, სკოპინგის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტაციის წარმოდგენა.
- 9. საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარების ვადა. - 30.10.2019 წელი.

10. საპროექტო დოკუმენტაციის  
ეგზემპლარების რაოდენობა:
- ა) საპროექტო დოკუმენტაცია - 3 ეგზემპლარი.
  - ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 2 ეგზემპლარი. 1 ეგზემპლარი.
  - გ) სატენდერო დოკუმენტაცია - (Excel ფორმატი)
  - დ) პროექტის ელექტრო ვერსია - 4 ეგზემპლარი
  - ე) 8.5 პუნქტით წარმოსადგენი დოკუმენტაცია - 2 ეგზემპლარი.

და მ კ ვ ე თ ი

საავტომობილო გზების საპროექტო  
სამსახურის უფროსი



დ. კალაძე

გარემოსა და სოციალურ საკითხთა  
სამსახურის უფროსი



მ. უჯმაჯურიძე

გარემოსა და სოციალურ საკითხთა  
სამსახურის უფროსის მოადგილე



გ. სოფაძე



## 2. განმარტებითი ბარათი

## განმარტებითი ბარათი

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-2) სენაკი-ფოთი-სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ97 (96+052) -ზე მდ. ყოროლის წყალზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენა შესრულებულია შპს „ავანბეკი“-ს მიერ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ლ. კუპატაშვილის მიერ 2.08.2019წ. დამტკიცებული საპროექტო დავალებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტექნიკური სამსახურის მიერ გაცემული პროექტირებისათვის საჭირო ამომავალი მონაცემების მიხედვით. საპროექტო დავალება გაცემულია მხარეთა შორის 2019 წლის 04 ივლისს გაფორმებული ე.ტ. № 128-19 ხელშეკრულების საფუძველზე.

სარეაბილიტაციო ხიდი მდებარეობს მდ. ყოროლის წყალზე, აჭარის რეგიონში, ქ. ბათუმის შესასვლელში. სახიდე გადასასვლელის მშენებლობის თარიღთან დაკავშირებით დოკუმენტაცია არ მოიპოვება; არსებობს 1961 წელს ჩატარებული ხიდის გამოცდის ანგარიში; აქედან უნდა ვივარაუდოთ, რომ ხიდი აშენებულია 1961 წელს.

### ზოგადი მიმოხილვა

სახიდე გადასასვლელი მდებარეობს საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალზე, რომელიც აკავშირებს საქართველოს და კავკასია-შუა აზიის ქვეყნებს ახლო აღმოსავლეთთან და სამხრეთ ევროპასთან. მდინარე ყოროლის წყალზე არ არსებობს სხვა სახიდე გადასასვლელი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ზემოხსენებული ინტენსიური საავტომობილო მოძრაობის შეუფერხებელი განხორციელება. ამჟამად მიმდინარეობს ავტობანის ბათუმის შემოვლითი მონაკვეთის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგაც ტრანზიტული ნაკადი გადაირთვება ახალ მაგისტრალზე და სარეაბილიტაციო მონაკვეთი შეიძენს შიდასახელმწიფოებრივ სტატუსს.

სარეაბილიტაციო სახიდე გადასასვლელის ტერიტორია განეკუთვნება ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულს და განთავსებულია ტოპოგრაფიული და ქალაქგანაშენიანების პირობებიდან გამომდინარე მკაცრად შეზღუდულ რაიონში.

ქ. ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი და ამავდროულად ისტორიული საპორტო ქალაქია, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს

კულტურულ, ეკონომიურ და ტურისტულ ცენტრს. ქალაქი განთავსებულია შავი ზღვის ნაპირზე, კახაბერის დაბლობზე, ზღვის დონიდან 2-3 მეტრის დონეზე. დაბლობის ფორმა ნახევარმთვარის მსგავსია და გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან დასავლეთისკენ 7-კილომეტრზე. დასახლების ძირითადი ნაწილი ემიჯნება ბათუმის უბეს, მდინარეების ბარცხანას და ყოროლის წყლის გასჭვრივ. ქალაქის საერთო ფართობი 64,94 კვ. კმ-ია, მოსახლეობა 136609 ადამიანი (1989 წლის მონაცემებით).

ქ. ბათუმი, ისევე როგორც აჭარის მთელი სანაპირო გამოირჩევა ხმელთაშუა ზღვის კლიმატით (ალისოვის კლასიფიკაცია) და მაღალი თერმალური რეჟიმით. კიოპლენის კლასიფიკაციით, კლიმატი ბათუმში ნოტიო-სუბტროპიკულია. ბათუმში თოვლი თითქმის საერთოდ არ მოდის (საშუალოდ წელიწადში 12 დღე დევს თოვლი). ფარდობითი ტენიანობის საშუალო მაჩვენებელი 70-80%-ია. ყოველწლიური ნალექების დონე 2435 მმ-ია. ნოემბერი ყველაზე ნოტიო თვეა (312 მმ ნალექი), ხოლო მაისი ყველაზე მშრალი (108 მმ ნალექი). ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 40,6 გრდ. ცელსიუსით (ივლისი), წლის საშუალო მაქსიმუმი 18,4 გრდ. , წლის საშუალო მინიმუმი 11,6 გრდ. , ხოლო აბსოლუტური მინიმუმი -8,2 გრდ. (თებერვალი).

ბათუმში განთავსებულია სამგზავრო და სატვირთო საზღვაო პორტი, ნავთობტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი. განვითარებულია მსუბუქი მრეწველობა და ტურისტული ინფრასტრუქტურა. ბათუმთან ახლოს, მწვანე კონცხზე, მდებარეობს ცნობილი ბოტანიკური ბაღი.

სამკურნალო ფაქტორებია: ზღვის ჰავა, ზღვაში ბანაობა, ქვიშიანი პლაჟი.

### არსებული ხიდის დახასიათება

სარეაბილიტაციო ხიდი მდებარეობს გეგმაში სწორ მონაკვეთზე, მართობულად კვეთს მდ. ყოროლის წყალს, ხოლო მისასვლელზე განთავსებულია დიდრადიუსიანი მრუდები.

ხიდი წარმოადგენს სამმალიანი ჭრილი კოჭური სისტემის ნაგებობას სქემით 22,16+22,28+22,16 მ მისი მთლიანი სიგრძეა 76,78 მ, გაბარიტი Γ – 10,40+2X1,25 მ. მალის ნაშენად გამოყენებულია კარკასული, მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმიანი კოჭები. ასეთი კოჭები წარმატებით გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის ხიდმშენებლობაში 50-60-იან წლებში. კონსტრუქცია დამუშავებულია 1958 წელს ტიპიური პროექტის მიხედვით „Сооружения на автомобильных дорогах“, выпуск 56, Москва 1956 г. ხიდი გაანგარიშებულია Н-13 და НГ-60 დატვირთვებზე, რაც სრულიად არ შეესაბამება დღეს მოქმედი ნორმების მოთხოვნებს (განსაკუთრებით ასეთი სტრატეგიული დანიშნულების გზაზე). მონოლითური რკინაბეტონის მალის ნაშენს განივკვეთში გააჩნის 10 წიბო (კოჭი), რომელთა ღერძებს შორის მანძილი შეადგენს 1400 მმ-ს.



ერთი შეხედვით, როგორც მალის ნაშენი ისე კოჭების ბეტონის ფაქტურა გამოიყურება დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ეს მოჩვენებითია. საყრდენი ბალიშები ვეღარ უძლებს გაზრდილ, ინტენსიურ დატვირთვებს და შეიმჩნევა რღვევითი პროცესები. სანაპირო ბურჯებზე, წამწისქვედებსა და კოჭების ძირებს შორის სივრცეები მომსახურე პერსონალის მიერ შევსებულია ბეტონით, კუსტარულად და უხარისხოდ. შეიმჩნევა ბეტონის გამოტუტვა წყალგამშვები მილების ზონებში. ზოგიერთ ადგილას უხარისხოდ მოწყობილი და შემდგომში ატკეჩილი ბეტონის დამცავი ფენის ადგილებში დაწყებულია არმატურის ჟანგვა, რაც ზღვის პირა კლიმატის პირობებში უფრო გაააქტიურებს კოროზიულ პროცესებს არის. მოაჯირების ძირებში, განაპირა კოჭების ფილის კიდეებზე დალექილია გრუნტი ფენა, რომელზეც აღმოცენებულია მცენარეები. განაპირა კოჭებზე და მოაჯირებზე უწესრიგოდ შეკიდულია სხვადასხვა კომუნიკაციები ყოველგვარი ნორმების დარღვევით.

საპროექტო მონაკვეთზე, ისევე როგორც მთელ გზაზე, ყოველწლიურად იზრდება მძიმეწონიანი ტვირთების გადაზიდვის ინტენსიობა. ხშირია არაგაბარიტულ წონიანი ტვირთების გადაზიდვაც რისთვისაც არსებული მალის ნაშენი სრულიად შეუფერებელია.

ხიდის სანაპირო ბურჯები მასიური რკინაბეტონის კონსტრუქციისაა და მათი ხილული ნაწილი შედგება ტანის, ფერმისქევა ფილისა და საკარადე კედლისაგან. ბურჯების ხილულ ზედაპირებზე შეიმჩნევა ბეტონის გამოტუტვა. წამწისქვედებზე განთავსებულია ლითონის ტანგენციალური საყრდენი ნაწილები კოჭების დასაყრდნობად, რომლებზედაც ნათლად შეიმჩნევა კოროზიული პროცესების გააქტიურება.

შუალედი ბურჯები მასიური რკინაბეტონისაა გეგმაში ტანის მომრგვალებული ფორმით.

საერთოდ როგორც სანაპირო ასევე შუალედი ბურჯები მშენებლობის დროს დაბეტონებულია უხარისხოდ მოწყობილ ყალიბებში, რის გამოც გააჩნიათ უსწორმასწორო ზედაპირები და კონსტრუქციული ელემენტების დარღვეული ფორმები. ყოველივე ეს ესთეტიკურად არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ქმნის რაც მიუღებელია საერთოდ და მითუმეტეს საკურორტო ზონისათვის.

სახიდე გადასასვლელის ორივე ნაპირზე მოწყობილია სარეგულაციო ნაგებობები: ხიდის ზემოთ ბეტონის მოქნილი ლეიბების სახით, ხოლო ხიდის ქვემოთ ბეტონის საყრდენი კედლების სახით. კონუსები დაფარულია ბუჩქნარით და გატყინებულია.

პარალელურად შესწავლილი იქნა შპს „საქგზამეცნიერების“ მიერ 2010 წელს ჩატარებული ხიდის გამოკვლევა-გამოცდის მასალები, რომელშიც მითითებულია ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა დასკვნითი ნაწილი ოპტიმისტურია მალის ნაშენის მზიდუნარიანობასთან დაკავშირებით.

2019 წლის ზაფხულში ხიდის შუალედ ბურჯზე განთავსებულმა რკინაბეტონის საყრდენმა ბალიშებმა ვერ გაუძლო დატვირთვებს და მოხდა მალის ნაშენის სიმეტრიული დაწევა (ჩავარდნა). აღნიშნულმა ინციდენტმა გამოიწვია საერთაშორისო მოძრაობის შეფერხება თანმდევი არასასურველი შედეგებით. ავარიულ რეჟიმში ჩაწეულ (ჩავარდნილ) ზონაში განხორციელდა ასფალტის დამატებითი ფენის დაგება და მოძრაობის გახსნა. აღნიშნული ინციდენტის მხედველობაში მიუღებლობა სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული. ამ აზრს იზიარებს დამკვეთის ტექნიკური სამსახურის სპეციალისტთა ჯგუფიც.

ხიდის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები და რისკები განხილული იქნა (კვლევა-ძიების პროცესში) დამკვეთის ტექნიკურ სამსახურებთან ერთად და მიღებული იქნა გადაწყვეტილება მალის ნაშენის შეცვლაზე.

### საპროექტო გადაწყვეტილება

საპროექტო გადაწყვეტილება ითვალისწინებს მალის ნაშენის სრულ დემონტაჟს და ახალით შეცვლას. მალის ნაშენის მოსაწყობად გამოიყენება კარკასული რკინაბეტონის კოჭები სიგრძით 22,16 მ განაპირა მალისათვის და 22,28 მ შუა მალისათვის. აღნიშნული კოჭები გათვლილია A-11 და HK-80 დროებით დატვირთვებზე, გამოყენებულია ფონიჭალა-რუსთავი-წითელი ხიდის საავტომობილო გზაზე, მდ. ალგეთზე მდებარე ხიდის რეაბილიტაციაზე, ათვისებულია და სერიულად მზადდება საქართველოში.

შუალედი ბურჯების რეაბილიტაცია ითვალისწინებს წამწისქვედების (რიგელების) დემონტაჟს და ახლი წამწისქვედების მოწყობას. ბურჯის ტანის ზედაპირების გაფხეკა-გაწმენდას, გამოფიტული ბეტონის ფენის მოცილებას, არმატურების შეზურღვა ჩაანკერებას და შალითების მოწყობას.

სანაპირო ბურჯების სარეაბილიტაციო სამუშაოები პროექტში მოცემულია საორიენტაციოდ და საჭიროებს დაზუსტებას დემონტაჟის პროცესში. სანაპირო ბურჯების უხილავი ნაწილების გამოკვლევა, გეომეტრიული ზომების დაზუსტება და კონსტრუქციული ელემენტების ვარგისიანობის განსაზღვრა საპროექტო სტადიაზე შეუძლებელია მოძრაობის შეუწყვეტლად ალტერნატიული გზის არ არსებობის გამო. დროებითი შემოვლითი გზის მოწყობის შემდეგ შესაძლებელი იქნება მოძრაობის გადართვა, სანაპირო ბურჯების ირგვლივ გრუნტის დამუშავება და კონსტრუქციული ელემენტების გაშიშვლება, რის შემდეგაც დამკვეთის, საზედამხედველო ორგანიზაციის და კონტრაქტორის უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა (სპეციალისტებმა) კომისიურად უნდა შეისწავლონ კონსტრუქციული ელემენტების (ფრთების, საკარადე კედლების, გადასასვლელი ფილების და სხვა) შემდგომი ექსპლუატაციისთვის

ვარგისიანობის საკითხი და საჭიროების შემთხვევაში შეტანილი უნდა იქნას პროექტში სათანადო ცვლილებები.

საპროექტო ხიდი წარმოადგენს სამშალან ჭრილ კოჭურ სისტემას სქემით 22,16+22,28+22,16 მ. ხიდის მთლიანი სიგრძეა  $L=76.78$  მ. ხიდის გაბარიტი მოყვანილია ქვეყანაში დღეს მოქმედი ნორმების შესაბამისობაში  $\Gamma 8+2x2,0$  მ. ხიდზე მოძრაობა ორზოლიანია. თითოეული ზოლის სიგანე შეადგენს 4,0 მეტრს, მათ შორის უსაფრთხოების ზოლი 0,5 მ. ფეხით მოსიარულეთათვის ორივე მხარეს დაპროექტებულია ტროტუარები სიგანით 2,0 მეტრი თურისტული თვალსაზრისით აქტიური ტერიტორიის მხედველობაში მიღებით. უსაფრთხოების მიზნით ტროტუარები სავალი ნაწილიდან გამოყოფილია 0,75 მ. სიმაღლის რკ.ბეტონის თვალამრებით და გარეთა მხრიდან შემოსაზღვრულია ლითონის მოაჯირებით. ლითონის მოაჯირების მოწყობა, ტრადიციულისაგან განსხვავებით, გათვალისწინებულია შედარებით სქელკედლიანი კვადრატული მილებით და ზოლოვანი ფოლადით ზღვის აგრესიული ზემოქმედებიდან გამომდინარე. სავალი ნაწილის კონსტრუქცია წარმოადგენს ტემპერატურულად უჭრ სისტემას შუალედი ბურჯების ზონაში. საკარადე კედლებთან ეწყობა ინდივიდუალური პროექტირების სადეფორმაციო ნაკერები. სადეფორმაციო ნაკერის ორივე მხარეს ეწყობა ასფალტობეტონის საფართან შეუღლება პოლომერბეტონით სიგანით 300 მმ. სავალი ნაწილის კონსტრუქცია წარმოადგენილია შემასწორებელი ფენით -- 40-140 მმ, მემბრანული ჰიდროიზოლაციით- 2-3 მმ, დამცავი ფენით-- 40 მმ, და ორფენოვანი წვრილმარცვლოვანი (50+40 მმ) ასფალტობეტონით.

ხიდზე გათვალისწინებულია ინდივიდუალური განათების სისტემის მოწყობა.

სანაპირო ბურჯების ზონაში ეწყობა ბაზალტის ფილებით მოპირკეთებული რკინაბეტონის პარაპეტები.

მაღის ნაშენის რკინაბეტონის განაპირა კოჭებში (ორივე მხარეს) გათვალისწინებულია ჩასატანებელი დეტალები საკომუნიკაციო კრონშტეინების მისამაგრებლად.

ხიდის ყრილთან შეუღლება გათვალისწინებულია  $L= 4.0$  მ. სიგრძის გადასასვლელი ფილების მოწყობით და მობელტილი კონუსებით.

ხიდზე მოწყობილი ფოლადის მოაჯირები, განათების ბოძები და სხვა ლითონკონსტრუქციები უნდა გაიწმინდოს ქვიშაჭავლური მეთოდით და დაიფაროს ორი ფენა მაღალხარისხოვანი ანტიკოროზიული საღებავით.

## მშენებლობის ორგანიზაცია

მშენებლობის ორგანიზაციის დაგეგმვისას ვხლმდგანელობთ როგორც ნაგებობის კონსტრუქციული თავისებურობით ასევე ქალაქგანაშენიანებისა და ტოპოგრაფიული სივრცული შეზღუდვების მხედველობაში მიღებით. სამშენებლო მოედანი განთავსებულია ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ინფრასტრუქტურით დატვირთულ რაიონში. სამოქმედო ზონაში მრავლადაა განთავსებული მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციები, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული დანიშნულების ობიექტები. სამშენებლო მოედანს მჭიდროდ ესაზღვრება, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო მფლობელობაში მყოფი ტერიტორიების საკადასტრო ხაზები. ვითვალისწინებთ რა აღნიშნულ გარემოებას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვისარგებლოთ ქალაქში განთავსებული სამრეწველო (ბეტონის ქარხანა, ლითონის, ხეტყის დამამუშავებელი, სარემონტო და სხვა) საწარმოების მომსახურებით და სამშენებლო მოედანზე არ გავითვალისწინოთ მათთვის დროებითი შენობა ნაგებობები. აგრეთვე რაციონალურია მშენებლობაზე დაკავებული არაადგილობრივი პერსონალისთვის არ მოვაწყოთ ღამის გასათევი და კვების დროებითი ნაგებობები და ვისარგებლოთ მიმდებარე სასტუმროებითა და არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტი ითვალისწინებს მცირე საწარმოო ბაზის მოწყობას, რომელზედაც განთავსებულია საწარმოო და საყოფაცხოვრებო საწიროებისათვის აუცილებელი დროებითი ნაგებობები.

პირველ რიგში ხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები. მცირე საწარმოო ბაზისათვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოღობვა, ადგილობრივ ადმინისტრაციულ და სანიტარულ ორგანიზაციებთან საკითხების შეთანხმება, მასალების და მომსახურების მომწოდებლებთან შეთანხმება და ხელშეკრულებების გაფორმება, აგრეთვე სამშენებლო მოედნის ენერგეტიკული რესურსებით მომარაგება.

შემდეგ სტადიაზე ხორციელდება დაკვალვითი სამუშაოები, დროებითი ასაქცევი გზის მოწყობა, მისი აღჭურვა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის საჭირო აუცილებელი ინვენტარით და დროებითი ხიდის მშენებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის სრულფასოვნად შესრულებისა და დროებითი სქემით მოძრაობის უსაფრთხოდ ორგანიზების შემდეგ ხიდზე იკეტება მოძრაობა და იწყება სადემონტაჟო სამუშაოები. დროებითი მოძრაობის მარშრუტი სრულყოფილად, მოქმედი ნორმების შესაბამისად, უნდა იყოს დაკომპლექტებული საგზაო მოძრაობის ნიშნებით და საინფორმაციო ფარებით საპატრულო სამსახურთან შეთანხმებული სქემის მიხედვით.

მაღის ნაშენის დემონტაჟი ხორციელდება ორ ეტაპად. არსებული ხიდი სიგანეში იყოფა ორ ნაწილად. პირველ ეტაპზე უნდა მოიხსნას განივკვეთში 6-კოჭი ხიდის მთელ სიგრძეზე. 4-კოჭი შენარჩუნებული უნდა იქნა ტექნოლოგიური საჭიროებისათვის, მდინარის ორ ნაპირს შორის საკომუნიკაციოდ. მაღის ნაშენის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციის დასაშლელად საჭიროა წიბოებს (კოჭებს) შორის გაიჭრას ფილაზე და დიაფრაგმებზე ღარი და განცალკევდეს კოჭები ერთმანეთისგან; ამის შემდეგ გრაფიკულ ნაწილში მოცემული სქემის მიხედვით განთავსდეს ავტომანქანები, კოჭი დაიტვირთოს



სპეციალურ კოჭმზიდზე და გატანილი იქნას დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე დასასაწყობებლად 20 კმ-ს რადიუსში; დაშლილი კოჭები წარმოადგენს დამკვეთის საკუთრებას; პირველ ეტაპზე გათვალისწინებული მალის ნაშენის დაშლის შემდეგ უნდა განხორციელდეს ბურჯების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, შემოზიდული იქნას ახალი კოჭები და დამონტაჟდეს საპროექტო მდგომარეობაში გრაფიკულ ნაწილში მოცემული სქემის მიხედვით; პირველ ეტაპზე კოჭების სრულად დამონტაჟებისა და გრძივი გამონოლითების შემდეგ, როდესაც ბეტონის სიმტკიცე მიაღწევს საპროექტო სიმტკიცის 70%-ს დასაშვებია დამონტაჟებულ მალეზე ამწეების შეყვანა და მალის ნაშენის დარჩენილი ნაწილის დემონტაჟი;

**კონტრაქტორი ვალდებულია პროექტში მოცემული მშენებლობის ორგანიზაციის სქემების მიხედვით მონტაჟისა და დემონტაჟის ყველა ტექნოლოგიურ პროცესზე დაამუშაოს ტექნოლოგიური რუკები და სამუშაოთა წარმოების წესები (IIIIP) და დადგენილი წესით შეათანხმოს დამკვეთისა და ტექნიკური ზედამხედველობის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან.**

პროექტში მოცემული მშენებლობის ორგანიზაცია ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს; კონტრაქტორი უფლებამოსილია შეიმუშაოს მისთვის ხელსაყრელი მშენებლობის სხვა ორგანიზაცია, რომელიც არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედ ნორმებს და შეათანხმოს დამკვეთისა და ტექნიკური ზედამხედველობის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან.

მშენებლობის პროცესში მკაცრად დაცული უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოდ წარმოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებები. სამუშაოზე დაიშვებიან მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციისა და სპეციალობის მქონე პირები, რომლებსაც გავლილი აქვთ უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქტაჟი სამუშაო ადგილზე და სათანადო სამედიცინო შემოწმება. მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამუშაოს სახეობათა შესაბამისი სპეც. ტანსაცმლით, სპეც. ფეხსაცმლით და სათანადო აღჭურვილობით. სამშენებლო მოედანზე შრომის დისციპლინაზე, სამუშაოთა შესრულების ხარისხზე და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება კონტრაქტორის მიერ ბრძანებით დანიშნულ პირს (უბნის უფროსს ან სამუშაოთა მწარმოებელს და ა.შ.). სამშენებლო მოედანზე სათანადო ნებართვის გარეშე არ დაიშვებიან უცხო პირები, მიუხედავად სამსახურებრივი თანამდებობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა.

განსახლების სამოქმედო გეგმა საჭირო არ არის, ვინაიდან, ახალი ხიდი განთავსებულია არსებული მიწის ვაკის ფარგლებში და არც მუდმივი და არც დროებითი ღონისძიებების განსახორციელებლად კერძო მფლობელობაში მყოფი ნაკვეთების დაკავება არ ხდება. გარემოს მართვის გეგმა პროექტს თან ერთვის, დანართის სახით და შესრულებულია მოქმედი ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

**მშენებლობის ნორმატიული ვადაა 6 თვე**

**მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები**

ჩვენს მიერ შედგენილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს სნ და წ 3.01-03-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვაზე

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტები;
- სარეაბილიტაციო ობიექტის სიტუაციური გეგმა;
- გეოდეზური გეგმები და პროფილები;
- შპს „საქგზამეცნიერების“ მიერ დამუშავებული ხიდის გამოკვლევა-გამოცდის ტექნიკური ანგარიშისა და შპს „ავანბეკის“ მიერ 2019 წლის აგვისტოს თვეში ჩატარებული კვლევები.

2. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

3. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია, საჭიროების შემთხვევაში, ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

4. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებული სავტომობილო გზების დეპარტანემენტის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ვადები აითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული თარიღების მიხედვით.

5. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. ბეტონის მიწოდებისთვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები და ბეტონდამჭირხნი. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ 333-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

6. გეოდეზურ-დაკვალვითი სამუშაოები სრულდება სნ და წ 3.01-01-85 „გეოდეზური სამუშაოები მშენებლობაში“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7. რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს დამკვეთისა და საზედამხედველო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლობის ზედამხედველობის ქვეშ.

8 რეაბილიტაციის ორგანიზაცია და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები“-ამონაკრები მოქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან. მათი ნაწილი (ტირაჟიდან შემორჩენილი) ინახება სამინისტროს შპს „მშენადგენაში“ და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

ყველა ნებართვის აღების შემდეგ დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით თანახმად საქართველოში მოქმედი: 1) “მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე„ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. #361 დაგენილებით); 2) „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 28.03.2007წლის #62 დადგენილებით) და 3) „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“; „მშენებლობის უსაფრთხოების წესები“ და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით, კერძოდ:

9. მოედნის მოშანდაკებისა და საძირკვლის ქვეშ ქვაბულის ამოღების სამუშაოები უნდა წარიმართოს მექანიზებული წესით თანახმად სნ და წ 3.02.01-83-ისა.

10. ყველაზე შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოებად გვევლინებიან დაარმატურებისა და დაბეტონების პროცესები. მათი შესრულება აუცილებელია სნ და წ 11115-76 მოთხოვნების დაცვით.

11. ფუძე საძირკვლების მოწყობისას ხელმძღვანელობენ სნ და წ 3.02.01-83 ნორმებით ფუძეები და საძირკვლები.

**პროექტის ავტორი**

**შპს „ავანბეკის ხიდების მთ. სპეციალისტი“**

**ნუგზარი ათაბეგაშვილი**



**მდინარე ყოროლისწყლის მოკლე ჰიდროლოგიური ანგარიში**

მდინარე ყოროლისწყალი სათავეს იღებს აჭარა-იმერეთის ქედის დასავლეთ ფერდობზე, მთა ჭიხკაძეს (1306 მ) დასავლეთით 0,4 კმ-ში 1180მ სიმაღლეზე და ერთვის შავ ზღვას კურორტ მახინჯაურის სამხრეთით 1,2 კმ-ში. მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი 52,5 კმ<sup>2</sup>, მისი სიგრძე 13,2 კმ, საშუალო ქანობი 0,0893.

საპროექტო სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო ხიდი მდებარეობს ს/გზაზე ქ. ბათუმის გარეუბანში.

მდინარის მაქსიმალური ხარჯები ამ კვეთისათვის ნაანგარიშებია თანახმად ტექნიკური მითითებების „მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის ანგარიში კავკასიის პირობებში“.

საანგარიშო ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$Q_{\text{მაგ}} = \frac{R \cdot \Omega^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \Sigma^{0.38} \cdot I^{0.125}}{(L+10)^{0.44}} \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \alpha \quad \text{სადაც}$$

R - რაიონული პარამეტრი = 1,15

Ω - მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობია = 52,5 კმ<sup>2</sup>

K - კლიმატური კოეფიციენტი = 9

Σ - მაქსიმალური ხარჯის გამეორების პერიოდი წლებში = 100, 50, 10.

I - მდინარის გაწონასწორებული ქანობი = 0,067

L - მდინარის სიგრე = 8,2 კმ

Π - ნიადაგის პარამეტრი = 1,0

α - მდინარის აუზის ფორმის კოეფიციენტი = 1,09

λ - აუზის ტყიანობის კოეფიციენტი = 0,877

ჩავსვავთ რა ამ მონაცემებს ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მივიღებთ:  $Q_{1\%} = 376 \text{ მ}^3/\text{წ}$ ,  $Q_{2\%} = 290 \text{ მ}^3/\text{წ}$ ,  $Q_{10\%} = 158 \text{ მ}^3/\text{წ}$ .

ამის შემდეგ ვაგრძელებთ ანგარიშს შესაბამისი მაქსიმალური დონის ნიშნულის დასადგენად.

დამუშავებულია საპროექტო ხიდიკვეთა კალაპოტის განივი კვეთი.

მდინარის სიჩქარეების დასადგენად ვისარგებლეთ ნომოგრამი, რომელიც აგებულია სხვადასხვა R და n-სათვის შემდეგი ფორმულის გამოყენებით

$$V = \frac{1}{n} R^{2/3} / R_i \quad \text{სადაც}$$

R - ჰიდრაულიკური რადიუსია

n - მდინარის კალაპოტის ხორკლიანობის კოეფიციენტი

y - ხარისხის მაჩვენებელი, რომელიც ტოლია:

$$y = 2.5/n - 0.13 - 0.75/R(\sqrt{n} - 0.10)$$

ამრიგად მიღებულია მდინარის სიჩქარეები სხვადასხვა დონეებისათვის.

მაქსიმალური დონეების ანგარიში მოყვანილია ცხრილში 1.

ცხრილი 1

	$\nabla H_a$	$B_a$	$W \text{ მ}^2$	$t_a$	R	n	$V \text{ მ/წ}$	$Q \text{ მ}^3/\text{წ}$	$Q \text{ მ}^3/\text{წ} = 376$
1	1,70	55,8	38,96	0,70	0,68	0,046	1,43	55,7	$H_{1\%} = 3,15$
2	2,70	62,1	97,1	1,56	1,49	-,-	2,51	244	$W = 125$
3	3,70	65,3	162	2,48	2,30	-,-	3,50	567	$L = 63.7$

ამ ცხრილის მონაცემების მიხედვით აგებულია მრუდები  $Q=f(H)$  და  $W=f(H)$ , საიდანაც მიღებულია შესაბამისი მაქსიმალური საანგარიშო ხარჯების H და W ( $H_{1\%} = 3,15 \text{ მ}$ ,  $W = 125 \text{ მ}^2$ )

ხიდიკვეთა კალაპოტის საერთო წარეცხვა ანგარიშდება: „კვლევა-ძიების და სახიდე გადასასვლელის პროექტირების“ მითითებების მიხედვით.

$Q_{1\%}$  - საანგარიშო ხარჯი (376 მ<sup>3</sup>/წ)

$H_{1\%}$  - საანგარიშო დონის ნიშნული (3,15მ)

W - ფართობი სანაპირო ბურჯებს შორის (125მ<sup>2</sup>)

$L_0$  - საპროექტო ხიდის ხვერტის სიგანე (63,7მ)

$\nabla H_a$  - მდინარის კალაპოტის ფსკერის უმდაბლესი ნიშნული (0,75მ)

t - მდინარის საშუალო სიღრმე (1,96მ)

$T_m$  - მდინარის მაქსიმალური სიღრმე (2,40მ)

μ - მდინარის კალაპოტის შევიწროვების კოეფიციენტი (1,0)

q - მდინარის საშუალო ერთეული ხარჯი (5,90მ<sup>2</sup>/წ)

$q_{\text{max}}$  - მდინარის მაქსიმალური ერთეული ხარჯი (8,27მ<sup>2</sup>/წ)

d, W და  $\frac{1}{1+X}$  - დამხმარე სიდიდეები ცხრილიდან,

შესაბამისად 28; 1,72; 0,76.

$T_{\nabla}$  - საერთო წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე (3,30მ)

წ - საერთო წარეცხვის საანგარიშო ნიშნული (- 0,15მ)

ადგილობრივი წარეცხვა შუალედური ბურჯების ირგვლივ წარმოებულიათანახმად BCH-62-69.

H - საანგარიშო სიღრმე საერთო წარეცხვის შემდეგ (3,30მ)

W - ჰიდრაულიკური სიმახვილე (0,58მ/წ)

V - საშუალო სიჩქარე შუალედურ ბურჯებთან (2,51მ/წ)

$V_0$  - წამრეცხავი სიჩქარე (1,98მ/წ)

b - შუალედური ბურჯის საშუალო სიგანე (1,50მ)

β - დამხმარე სიდიდე (0,158)

$h_0$  - დამხმარე სიდიდე (2,67)

h - ადგილობრივი წარეცხვის ძაბრის სიღრმე ( 2,69)

მწგ - მაქსიმალური წარეცხვის ნიშნული (-2,847)

ანგარიში შეადგინა  
ჰიდროლოგმა

ლ. გიგუაშვილი







მანქანა-მექანიზმები

№	მანქანა-მექანიზმების დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1	ბორტიანი მანქანა	2	
2	სარწყავი სარეცხი მანქანა	1	
3	სატკეპნი სხვადასხვა	3	
4	ავტოთვითმცლელი	4	
5	ავტობეტონმრევი	2	
6	ასფალტდამგები	1	
7	ავტო ამწე	2	
8	ავტოგრეიდერი	1	
9	ბულდოზერი	1	
10	ექსკავატორი	1	
11	ავტოგუდრონატორი	1	
12	ფრეზი	1	
13	ნიშანსადები მანქანა	1	




### 3. გრაფიკული ნაწილი



სახიდი ბადასხვლების ტოპოგრაფიული გეგმა

მ. 1:500





1. გეგმა შედგენილია შპს „ავანბეკი“-ს მიერ 2019 წლის აპრილში ჩატარებული საკვლევითი მასალების გამოყენებით;
2. კოორდინატები მოცემულია GEO-CORS WGS 84 კოორდინატთა სისტემაში;
3. ზომები და ნიშნულები მოცემულია მეტრებში;



<p>დავალი: საერთაშორისო რეკონსტრუქციის და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტორიზაციო განყოფილება</p> <p>პროექტი: საერთაშორისო რეკონსტრუქციის (ს-2) სანაღვრო-სარკინო (თარაქეთის რაიონის სახალხო საავტორიზაციო განყოფილება) პროექტი, მდ. ყორღისწყლის არსებული სახიდი ბადასხვების რეკონსტრუქციის პროექტი.</p> <p>მოსრულები: შპს „ავანბეკი“ მთ. სამხელისძი <i>მ. ავანბეკი</i> ნ. ავაბეკიძე გამსრულები: <i>გ. ავაბეკიძე</i></p>	<p>სათყარი: სიტუაციური გეგმა</p> <p>პროექტის ტიპი: ფაბრიკური</p> <p>ნახაზის ზომა: ISO FULL BLEED A3 (297.00 X 420.00 MM)</p> <p>გამოსვლის თარიღი: 2019 წელი</p> <p>ნახაზის ჯიშის კოდის: BD 01</p> <p>გამოსვლის ადგილი: <i>გ. ავაბეკიძე</i></p>
---	--





შ ე ნ ი შ ვ ნ ა

- ნახაზზე მოცემულია №1 გუბრის სქემები, №4 გუბრი  
ილენტურია №1 გუბრის;
- სიღივები ფრხილუბში განეკუთვნება №4 გუბრს;
- ზომები მოცემულია მილიმეტრებში – ნიშნულში მითრეში;

ხილზე მოქრატის გადაკეტვის შემდეგ (დემონტაჟის პროცესში)  
დაზუსტდეს გუბრის უბილავი ელემენტების კონფიგურაციები და  
ზომები და საჭიროების შემთხვევაში პროექტში შეტანილი იქნას  
შესაბამისი ცვლილებები



დამკვეთი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საპროგრამო-ინჟინერო-კონსტრუქციო განყოფილება	სათაური: არსებული სანაპირო გუბრის სქემა	2019 წელი
პროექტი: საერთაშორისო გეოგრაფიული (ს-2) სანაპირო-ფორტიფიკაციის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საპროგრამო-ინჟინერო-კონსტრუქციო განყოფილება	პროექტის ტიპი: დებულარი	ნახაზის ზომა: ISO FULL BLEED A3 (297.00 X 420.00 MM)
მშენებელი: გ.ს. ავანბეკი	მთ. სპეციალისტი: <i>[Signature]</i>	მშენებელი: <i>[Signature]</i>
მ.ს. ავანბეკი	მ.ს. სპეციალისტი	მ.ს. მშენებელი






ხ ი ღ ი ს გ ე გ მ ა

მ. 1:150

76780



შ ე გ ო შ ე გ ა

1. ზომები მოცემულია მილიმეტრებში, ნიშნულები ასტოლუტურია და მოცემულია მეტრებში;




<p>თემატიკა: საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტი</p> <p>პროექტი: საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტი (საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტი)</p> <p>მომხმარებელი: შპს „ავანბეკი“</p>	<p>სათაური: ხილის გზა</p> <p>პროექტის ტიპი: დეტალური</p> <p>ნახაზის ზომა: ISO FULL BLEED A3 (297.00 X 420.00 MM)</p> <p>გ. გულსიანი</p>	<p>2019 წელი</p> <p>ნახაზის კოდი: BD 05</p> <p>ავტორი: შ. გულსიანი</p>
---	---	--

ს ა ვ ა ბ ე კ ი ს კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

მ. 1:50

ლაგვიონები პირობითად ნაჩვენები არ არის





სამშენობლო წარმოების თანამდებარე ქვეყანაში მოქმედი, სამშენობლო სახეობის შესაბამისი საშენობლო ნორმებით და წესებით (СНИП) და სტანდარტებით (ГОСТ)

შ ე ნ ი შ ი ა

1. კომუნიკაციების შევიდვა პირობითად ნაჩვენები არ არის.
3. ზომები მოცემულია მილიმეტრებში, ნიშნულია აბსოლუტურია და მოცემულია მეტრებში.

სამშენობლო მოცულობები სავალი ნაწილის მოწყობაზე (მალის ნაშენზე)

N	მასალები, სამუშაოები	განზ.	რაოდ.	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	შემასწორებელი ფენის მოწყობა საშუალო სისქით 90 მმ	მ <sup>3</sup>	48.00	B 30, F 200, W 8
2	მემბრანული ჰიდროზოლაცია პოლიმერული მასალებით	მ <sup>2</sup>	870.00	მაღ. ნაშენ. ფარგლებში
3	დამცავი ფენა სისქით 40 მმ შენადული ბადით 4Cp 5Bp 1-100	მ <sup>3</sup>	21.50	B 30, F 200, W 8
4	წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ქვედა ფენა	მ <sup>2</sup>	534.00	სისქით 50 მმ
5	წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ზედა ფენა	მ <sup>2</sup>	534.00	სისქით 40 მმ
6	შემასწორებელი ფენის მოწყობა ტროტუარებზე საშუალო სისქით 4.25 მმ	მ <sup>3</sup>	14.20	B 30, F 200, W 8
7	მემბრანული ჰიდროზოლაცია პოლიმერული მასალებით ტროტუარებზე	მ <sup>2</sup>	0.00	მაღის ნაშენის ფარგლებში
8	დამცავი ფენა ტროტ. სისქით 30 მმ შენადული ბადის გარეშე	მ <sup>3</sup>	10.00	B 30, F 200, W 8
9	წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონის ფენა ტროტუარებზე	მ <sup>2</sup>	270.00	მაღ. ნაშენ. ფარგლებში
10	რკინაბეტონის თვალამრიდების მოწყობა B 30, F 200, W 6	გრ.მ.	133.20	მაღ. ნაშენ. ფარგლებში
	ა) არმატურა A500C	პბ		
11	განათების მოწყობა	წერტ.	12.00	
	ა) ელექტროსადენი 3x4+lx2.5	გრ.მ	300.00	
	ბ) კვადრატული მილი 150x150x5 მმ	გრ.მ/კვ	85.2/2006	
	გ) ჩასატანებელი დეტალები და ფურცლოვანი ფოლადი	პბ	478	
	დ) სანათები	ც	12	LED 5102, W 42
12	ფოლადის მოაჯირების მოწყობა სწორკუთხა მილებით	პბ	10245.12	
	ა) ჩასატანებელი დეტალები	პბ	237.6	
	ბ) შეღებვა მაღალხარისხოვანი ანტიკოროზიული საღებავით	პბ	10245.12	ორ ფენად







დამკვეთი: საერთაშორისო რეკონსტრუქციის და ინჟინერინგის საინჟინერო-სამშენობლო ჯგუფის დეპარტამენტი	სათაური: სავალი ნაწილის კონსტრუქცია
პროექტი: საერთაშორისო მნიშვნელობის (უ-2) სანაბი-ფოთი-სარფის (თარქათის რაიონის სახალხო სასაზღვაო საავტომობილო გზის აგ97(96+052)-ზე, მდ. ყოროლისწყალზე არსებული სახიდა მდინარის სარეაბილიტაციო სამუშაოს პროექტი.	პროექტის ტიპი: დეტალური
შემსრულებელი: შპს „ავანბეკი“ მთ. საპროექტო	ნახაზის ზომა: ISO FULL BLEED A3 (297.00 X 420.00 MM)
მ. საპროექტო	ნახაზის ჯორდი: BD 06
მ. ავანბეკი	მ. გვალაშვილი
მ. გვალაშვილი	მ. გვალაშვილი
მ. გვალაშვილი	მ. გვალაშვილი



შ ა ს ა ღ ი

შუალედი ბურჯი

1—1



სამუშაოთა მოცულობები შუალედი ბურჯების რეაბილიტაციაზე

N	მასალები, სამუშაოები	განზ.	რაოდ.	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	წამწისქვედების დანგრევა პნევმოჩაქუჩებით, ნანგრევების დატვირთვა ავტოთვიომცლელელებზე და გატანა ნაყარში	მ3	32.9	
2	შუალედი ბურჯების ზედაპირების გაწმენდა ქვიშაჭავლური მეთოდით	მ <sup>2</sup>	220.00	
3	დ=16 მმ ნასვრეტების შებურღვა ბურჯის ტანში სიგრძით 500 მმ-მდე წამწისქვედების და შალითების მოსაწყობად	ც/გ.მ	1252/501	
4	დ=14 მმ არმატურის ჩაანკრება გაბურღულ ნასვრეტებში ეპოქსიდური წებოს მეშვეობით	ც	1252	
	ა) არმატურა A 500C	ც	1252	
	ბ) ეპოქსიდური წებო	კგ	45	
5	წამწისქვედების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით	მ3	42.00	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	მ3	42.00	
	ბ) არმატურა A 500C	კგ	2436.60	
6	შუალედი ბურჯების ზედაპირების გადარეცხვა წყლის ჭავლით	მ <sup>2</sup>	220.00	
7	შუალედი ბურჯებზე შალითების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით	მ3	31.0	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	მ3	31.0	
	ბ) არმატურა A 500C	კგ	4628	
8	საყრდენი ბალიშებისა და ანტისეისმური საბჯენების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით	მ3	3.3	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	მ3	3.3	
	ბ) არმატურა A 500C	კგ	207.2	

შ ე ნ ი შ ე ნ ა

- სამუშაოები შესრულდეს ღვაწლმწიფე პერიოდში;
- ზომები მოცემულია მილიმეტრებში -- ნიშნულები მეტრებში;




სამუშაოთა წარმოებისას იხელმძღვანელეთ ქვეყანაში მოქმედი, სამუშაოთა სახეობების შესაბამისი საშენებლო ნორმებით და წესებით (СНИП) და სტანდარტებით (ГОСТ)



დამკვეთი: საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და ინფრასტრუქტურის საინჟინერო-სამშენებლო ჯგუფის ქვე-საბრუნველი	სათაური: შუალედი ბურჯი
პროექტი: საერთაშორისო რეკონსტრუქციის (ს-2) სანაი-ფოთი-სარჯის (თუშეთის რესპუბლიკის სახლავი) საინჟინერო-სამშენებლო ჯგუფის 3897(96+052)-ჯა, შდ. ყოროლისფალა არსებული სახილავი დასასაწყობის საკაპიტალიზაციო სამუშაოების პროექტი.	პროექტის ტიპი: დეტალური
მშენებლის სახელი: შპს „ავანბეკი“ მთ. სამშენებლო	ნახაზის ზომა: ISO FULL BLEED A3 (297.00 X 420.00 MM)
მშენებლის მისამართი: 6. თბილისი	ნახაზის კოდი: BD 07
მშენებლის მისამართი: 6. თბილისი	მასშტაბი: 1:1
მშენებლის მისამართი: 6. თბილისი	მასშტაბი: 1:1




ანტიჰისემური საბჟანგისა და საყრდენი ბალონების კონსტრუქცია შუალედ ბურჯზე



არმატურის სპეციფიკაცია შუალედი ბურჯის საყრდენ ბალონებზე და ანტიჰისემურ საბჟანგებზე (ერთ ბურჯზე)

პოზიციის ნომერი	დიამეტრი მმ	სიგრძე (მ)	რაოდენ. (ცალი)	ჯამური სიგრძე (მ)	1 მეტრის წონა (კგ)	ჯამური წონა (კგ)
1	8	1.170	126	147.42	0.40	58.97
2	8	0.830	48	39.84	0.40	15.94
3	8	0.150	48	7.20	0.40	2.88
4	8	0.620	96	59.52	0.40	23.81
სულ						101.59
შესატრავი მავთული						2.00
ჯამური წონა:						<b>103.59</b>







ამონაშენებელი რიგებიდან კოფ. №6, №7 და №8 ბათონისწინეპულია რიგების სპეციფიკაციაში

ბეტონი B 30, F 200, W 6 ---- 1.65 მ<sup>3</sup>

- შ ე ნ ი შ გ ა
- მოცემული ნახაზი განიხილეთ რიგების არმირების ნახაზთან ერთად.
  - ზომები მოცემულია მილიმეტრებში.








- შ ე ნ ი შ შ ე ა
1. ეპოქსიდური წებოს ნახვრეტებიდან გადმოღვრის თავიდან აცილების მიზნით გუბლვა განხორციელდეს კორიზონტის მიმართ ღახრით 5-10°-ით.
  2. შებენიდან განხორციელდეს გურჯის მიმართ კერიმეტრზე ჯალრაკულად უჯრედით 400x400 მმ.
  3. ზომები მიცემულია მილიმეტრებში.

პოზიციის ნომერი	დიამეტრი მმ	სიგრძე (მ)	რაოდენ. (ცალი)	ჯამური სიგრძე (მ)	1 მმტრის წონა (კგ)	ჯამური წონა (კგ)
1	14	0.500	550	275.00	1.21	332.75
2	14	4.970	118	586.46	1.21	709.62
3	14	5.270	118	621.86	1.21	752.45
4	12	10.270	36	369.72	0.89	329.05
5	12	4.500	36	162.00	0.89	144.18
სულ						2,268.05
შესაკრავი მავთული						46.00
ჯამური წონა:						2,314.05



გეტიონი B 30, F 200, W 6 ---- 15.5 მ<sup>3</sup>



ხელი მდინარის მხრიდან

სანაპირო ბურჯის სამაღობო ნახაზი

A — A



ნაპირის კონსტრუქციის მხოლოდ განათვის მიუყვება ნახაზი

ხილვე მოკრატვის გადაკეტივის შემდეგ (დემონტაჟის პროცესში) დაზუსტდეს ბურჯის უბილაში ელემენტების კონფიგურაცია და ზომები და საპირფარეოს შემთხვევაში პროექტში შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილებები

ბ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

შ ე ნ ი შ ე ნ ა

ხიდის უბილაში ნაწილების დასაზუსტებლად საარქივო მასალების მოძიება ვერ მოხერხდა მათი არ არსებობის გამო; საპროექტო სტადიაზე სანაპირო ბურჯების უკან შურფების მოწოდებაც პრაქტიკულად შეუძლებელია ვინაიდან ამის განსახორციელებლად საპირფარეოს მოკრატვის გადაკეტივა; ალტერნატიული გზის არ არსებობის გამო ეს ვარიანტიც მიუღებელია; დეპარტამენტის ტექნიკურ სამსახურთან საკითხის განხილვის შემდეგ მიზანშეწონილად ჩაითვალა პროექტი შესრულ-გულიყო მოცემულ ვარიანტში; დროებითი ხიდის აშენებისა (რომელსაც ითვალისწინებს მოცემული პროექტი) და მოკრატვის გადაკეტივის შემდეგ გაშიშვლდეს სანაპირო ბურჯების უბილაში ელემენტები, ოპერატიულად შესწავლილი იქნას დაგეგმიტისა და ტექნიკური ზედამხედველობის წარმომადგენლებთან ერთად სანაპირო ბურჯების ელემენტების ვარგისიანობა შემდგომ სამსახურებში და ასევე არსებობის შემთხვევაში პროექტში შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილებები;

პროექტი B-B და C-C იხილეთ მომდევნო ნახაზზე

1. სანაპირო ბურჯის გეგმა და სამუშაოთა მოცულობები იხილეთ მომდევნო ნახაზზე;
3. ზომები მოცემულია მილიმეტრებში -- ნიშნულები მეტრებში;




დაამუშავა: საერთაშორისო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის საინჟინერო-საპროექტო შპს-ს დეპარტამენტი	სამუშაო: სანაპირო ბურჯის სამაღობო ნახაზი
პროექტი: საერთაშორისო რეგიონული განვითარების (ს-2) სანაპირო-ფრთხილარების (თარაქეთის რესპუბლიკის სახლარში) საპროექტო შპს-ის აგრ(96+052)-ზე, შდ. ყოფილი სანაპირო არსებული სახიდა ბადასკალის სარეაბილიტაციო სამუშაოს პროექტი.	პროექტის ტიპი: დამატური
შესრულდა: შს „ავანბეკი“ შტ. საშენობისტი <i>[Signature]</i> 6. თბილისი	ნახაზის ზომა: ISO FULL BLEED A3 (297.00 X 420.00 MM)
	ნახაზის კოდი: BD 10
	შ. გვალისანი შპს-ის
	გ. გვალისანი
	გ. გვალისანი

B — B

სანაპირო გზის გეგმა

C — C





ამონაშენი სპარაჟი კელლიან და ფრთიან ჟეფობა ბიჟი 200 მმ

ფუნდამენტის სავარაუდო კონტური

არსებულ ფუნდამენტში Φ16 A500C №1 ჩაბურღული არმატურა L=1500

არმატურის ჩაანკვერვის სქემა



ლიტონის სპეციფიკაცია ერთ ჩლ-ზე						
პოზიციის ნომერი	პროფილი მმ	სიგრძე (მ)	რაოდენ. (ცალი)	ჯამური სიგრძე (მ)	1 მმტრის წონა (კგ)	ჯამური წონა (კგ)
1	ფ.ფ. 12*250	0.300	1	0.30	23.55	7.07
2	Φ14 A500C	0.500	6	3.00	1.21	3.63
<b>ს უ ლ</b>						10.70
შედულების ელექტროდი						0.25
<b>ჯამური წონა:</b>						<b>10.95</b>

გეომეტრიული მახასიათებლები						
მარკა	ზომები	რაოდენობა ც		წონა კგ		
		ბურჯზე	ბილზე	ერთი ჩლ-ზე	ბურჯზე	ბილზე
ჩლ	250x300x500	13	26	10.95	142.4	285.0

სამუშაოთა მოცულობები სანაპირო ბურჯების რეაბილიტაციაზე

N	მასალა, სამუშაოები	განზ.	რაოდ.	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ბურჯის გაკვეთა სანაპირო ბურჯების ირგვლივ და განაკვეთის გატანა ყრილში	მ2	75.00	
2	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით სანაპირო ბურჯების ირგვლივ, ფრთების შორის და კონუსების ზონაში ნაყარში გატანით	მ3	750.00	
3	გადასასვლელი ფილების დემონტაჟი ავტომატის დახმარებით, დატვირთვა ავტოტრანსპორტზე გატანა ზაზაში	მ3	10.0	1 კმ-ს რადიუსში
4	სანაპირო ბურჯების დანგრევა ფუნდამენტის შენაჭრამდე, ექსკავატორზე დამაგრებული ჰიდროჩაქუჩით, ნანგრევების დატვირთვა ავტოთვიომცლებზე და გატანა ნაყარში	მ3	380	15 კმ-ს რადიუსში
5	სანაპირო ბურჯების არსებულ ფუნდამენტებში d=18 მმ ნასვრეტების ბურღვა სიღრმით 500 მმ-მდე არმატურის ჩასაანკვრებად	ც/გრ.მ	336/168	
6	გაბურღულ ნასვრეტებში d=16 მმ არმატურის ჩაანკვრება	ც	336	
	ა) არმატურა Φ16 A500C	კგ	797.0	
	ბ) ეპოქსიდური წებო	კგ	75.0	
7	ბურჯების ტანების მოწყობა მონოლითური რკ ბეტონით	მ3	157.0	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	კგ	157.0	
	ბ) არმატურა A500C	კგ	4003	
8	საკრადე კედლების მოწყობა მონოლითური რკ ბეტონით	მ3	15.9	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	კგ	15.9	
	ბ) არმატურა A500C	კგ	1085.7	
	გ) ჩასატანებელი დეტალები	კგ	285.0	
9	ბურჯების ფრთების მოწყობა მონოლითური რკ ბეტონით	მ3	92.6	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	კგ	92.6	
	ბ) არმატურა A500C	კგ	2362	
10	ბურჯების წამწიქვების მოწყობა მონოლითური რკ ბეტონით	მ3	19.2	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	კგ	19.2	
	ბ) არმატურა A500C	კგ	1201.3	
11	საყრდენი ბალოების და ანტისეისმური საბჯენების მოწყობა მონოლითური რკ ბეტონით	მ3	1.8	
	ა) ბეტონი B 30, F 200, W 6	კგ	1.8	
	ბ) არმატურა A500C	კგ	120	

შ ე ნ ი შ ე ნ ა



- B--B და C--C ჭრილების დისლოკაცია იხილეთ წინამდებარე ნახაზზე;
- ზომები მოცემულია მილიმეტრებში -- ნიშნულში მმტრებში;






A—A

B—B



ამონაშვებები ბურჯის ფრთიდან კოფ. №10 და №11 გათვალისწინებულია სანაპირო ბურჯის არმირებაში



პოზიციის ნომერი	დიამეტრი მმ	სიგრძე (მ)	რაოდენ. (ვალი)	ჯამური სიგრძე (მ)	1 მეტრის წონა (კგ)	ჯამური წონა (კგ)
1	Φ8 A500C	5.000	8	40.00	0.40	16.00
2	Φ8 A500C	0.250	21	5.25	0.40	2.10
სულ						18.10
შესაკრავი მავთული						0.36
<b>ჯამური წონა:</b>						<b>18.46</b>

ბეტონი ერთ პარაკეტზე B 30, F 200, W 6 ---- 0.70 მ<sup>3</sup>

მასალების მოთხოვნა ერთ პარაკეტზე

№-№	მასალების დასახელება	ბანხ.	რაოდ.	შენიშვნა
1	წებოცემენტის სხნარი	მ <sup>3</sup>	0.3	სხვა და სხვა ზომის
2	ბაზალტის ქვის კელი 100*300 მმ	ბრ.მ.	5.0	
